ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13251506**

თარიღი:**30/05/2025**

„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის

დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი’’ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ’’ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის № 51 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართს დაემატოს, დანართის სახით წარმოდგენილი შემდეგი რედაქციის 73, 74 და 75 -ე პუნქტები.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ.N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი

№	ობიექტის დასახელება	მდებარეობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური	აუქციონის ფორმა (პირობიანი, უპირობო)	აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შეძენილი ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა	შენიშვნა
73	ავტომობილი FORD TRANSIT - გამოშვების წელი 1997, სახ.# QV-373-VQ	ქალაქ ახალციხეში, მიქუტიშვილის ქუჩის ბოლოს	5200 (ხუთი ათას ორასი) ლარი	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	
74	არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი - 70 კვ.მ. ს/კ 62.09.60.518	ქალაქი ახალციხეში, ბექა ჯაყელის I ჩიხი N8-ს მიმდებარე ტერიტორია	9300 (ცხრა ათას სამასი) ლარი	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	
75	ავტომანქანა UAZ 315143. გამოშვების წელი 2005. სახ. ნომერი CG-573-GC.	ქალაქ ახალციხეში, მიქუტიშვილის ქუჩის ბოლოს	4.200 (ოთხი ათას ორასი) ლარი	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	